



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №37

2017 წელი 31 მაისი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას აუქციონის გზით მოახდინოს სოფელ სარფში და სოფელ კვარიათში არსებული საპლაჟე სექტორების სარგებლობის უფლებით გაცემა ელექტრონული აუქციონის გზით.

2. დადგინდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე საპლაჟე სექტორების (ს/კ 22,30,02,213) თვიური საწყისი საიჯარო თანხა 1 კვ.მ ფართზე 8 (რვა) ლარის ოდენობით, ხოლო დასახლება კვარიათში არსებული ორი სექტორის (ს/კ 05.36.26.500 და ს/კ 05.36.26.325) თვიური საწყისი საიჯარო თანხა 1 კვ.მ ფართზე 6 (ექვსი) ლარის ოდენობით,

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე